15 წელი ცარცით ხელში, დაფასთან - 9 თვე კი ციხეში - ასეთია ჩაბუქის ბიოგრაფია საქართველოში, სადაც ის თურქეთის მოთხოვნით დააკავეს. ქვეყანა მასწავლებელს ფეტჰულა გიულენის მხარდაჭერაში, ანუ ტერორიზმის ხელშეწყობაში დებდა ბრალს, და ითხოვდა მის ექსტრადირებას. გადამწყვეტი სასამართლო პროცესი დღემდე არ გამართულა. ჩაბუქის 9 თვიანმა პატიმრობამ და გირაოთი დროებით გათავისუფლებამ ღიად დატოვა კითხვები, იყო თუ არა მასწავლებლის დაკავება პოლიტიკური დაკვეთა, იდგა თუ არა ხელისუფლება დილემის წინაშე ადამიანის უფლებების დაცვასა და სტრატეგიული პარტნიორის მოთხოვნას შორის? დღესაც ემუქრებათ თუ არა საფრთხე საქართველოში მცხოვრებ გიულენისტებს? უნდა ჰქონდეთ თუ არა მათ რეგიონის ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანაში თავშესაფრის იმედი? საგამოძიებო ფილმში გადავწყვიტეთ გაგვეზომა თურქეთის ზეგავლენა ქართულ საგამოძიებო და სასამართლო სისტემაზე, გაგვერკვია რატომ უთხრეს უარი ჩაბუქს ლტოლვილის სტატუსზე და ვინ არის ის, მასწავლებელი თუ ტერორისტი?

მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქმე

2017 წლის 23 მაისი, თურქეთში არშემდგარი სახელმწიფო გადატრიალების და ისტორიული რეფერენდუმის შემდეგ საქართველოში პირველად ჩამოდის პრემიერ-მინისტრი ბინალი ილდირიმი. ის ქართველ კოლეგასთან სტრატეგიულ თანამშრომელობაზე საუბრობს, იწყება მზადება თურქეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავისთვის. ორი ქვეყნის უმაღლესი პირის თითქოს რიგითი შეხვედრა უკვე ცუდის ნიშანია თბილისში მცხოვრები თურქეთის მოქალაქისთვის. ადამიანისთვის, რომელმაც იცის, როგორ მოექცა ერდოღანის ხელისუფლება მისივე კოლეგა მასწავლებელს.

საფეთ ბაირაქთუთანი- მუსტაფა ემრე ჩაბუქის მეგობარი, დემირელის სკოლის ყოფილი წარმომადგენელი

აგრესია უკვე იყო საგანმანათლებლო საქმიანობაში დაკავებული პირების მიმართ. 17 უნივერსიტეტი დაიკეტა. 2000-მდე სკოლა დაიხურა. ადრე თუ გვიან ეს ყველაფერი საზღვარგარეთ მომუშავე ადამიანებზეც გავრცელდებოდა. ზოგ ქვეყანაში კი, სადაც დემოკრატია უფრო სუსტია, ეს პროცესი დაჩქარდა.

მაიკო ჩიტაშვილი - მუსტაფა ემრე ჩაბუქის მეგობარი

როდესაც იგეგმებოდა პრემიერის ჩამოსვლა, ზუსტად იმ დღეებში დაეწყო ბატონ მუსტაფას დიდი შიში. ის უკვე მზად იყო იმისთვის, რომ რაღაც მოხდებოდა. ჩამოვა ახლა პრემიერი, არ ვიცი რას მოითხოვს. პირდაპირ ფაქტებია, რასაც ის ადამიანი ამბობდა და რა შედეგიც დაიღო.

ილდირიმის ვიზიტიდან 24 საათში ჩაბუქის კარზე სამართალდამცველებმა დააკაკუნეს - საფეტ ბარიქათუთანი პირველი იყო, ვისაც მასწავლებელმა დაურეკა და შველა სთხოვა. ჩაბუქის კოლეგა ბრალის გაცნობამდე მიხვდა, ვის ინტერესში შეიძლება ყოფილიყო მისი მეგობრის დაკავება, თუმცა ბრალდების ფორმულირება მისთვისაც შოკისმომგვრელი აღმოჩნდა

საფეტ ბარიქათუთანი- მუსტაფა ემრე ჩაბუქის მეგობარი, დემირელის სკოლის ყოფილი წარმომადგენელი

მან პატიოსნად გააღო კარი, მიიღო პოლიციელები. თქვენ ელოდით ჩვენ მოსვლასო, ასეთი რამ კითხეს. არ ველოდიო, რა თქმა უნდა, მაგრამ ვიცი, რომ უდანაშაულო ვარ, თუნდაც ჩამსვან ციხეში, არა აქვს მნიშვნელობა. მერე გავიგეთ ჩვენ, რომ საქმე ეხებოდა თურმე ტერორისტული დაჯგუფების წევრობას, თუ გულშემატკივრობას, რა იყო არც მახსოვს, მაგრამ რა სისულელეა, არც წევრობა იყო და არც გულშემატკივრობა.

თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი - 314 მუხლი, მეორე ნაწილი - შეიარაღებული ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა - ამ მუხლით სრულდება მასწავლებლის და იწყება კრიმინალის ისტორია თურქეთის სამართლებრივ სივრცეში. ამ გზით მუსტაფა ემრე ჩაბუქის სახელი უკავშირდება პრეზიდენტ ერდოღანის ყველაზე საშიში მტრის ფეტჰულა გიულენის ორგანიზაცია ფეტოს.

ვინ არის ფეტჰულა გიულენი?

მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ინტელექტუალი - საერთშორისო მედიაში ეს ტიტული ორჯერ მისცა ადამიანს, რომელსაც პოლიტიკური ძალაუფლება არ აქვს. ფეტჰულა გიულენს თურქეთში სამხედრო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში ადანაშაულებენ. ერთ დროს ერდოღანის მეგობარი და თანამებრძოლი, დღეს მისი მთავარი მტერია. მოძრაობა ჰიზმეთის სულიერ ლიდერს მილიონობით მხარდამჭერი ჰყავდა რიგით მოქალაქეებსა თუ სახელმწიფო უწყებებში . „სახელმწიფო სახელმწიფოში“ ასე უწოდა ამ ორგანიზაციას ერთ-ერთი გამოსვლისას ერდოღანმა, რაც პოლიტიკურ განაჩენს ნიშნავდა. გიულენი დევნილია , თურქეთი კი მის მხარდამჭერებს ტერორისტებად მიიჩნევს.

გიულენი ეწინააღმდეგება რელიგიურ ექსტრემიზმს, ემხრობა სხვა კონფესიებთან დიალოგს , მიიჩნევს, რომ ისლამი და დემოკრატია თავსებადია. ყველაზე მძლავრი იარაღი კი მისთვის განათლებაა. ქურთულ ოჯახში დაბადებულ მწერალს დაფუძნებული აქვს სკოლებისა და უნივერსიტეტების ქსელი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მის საგანმანათლებლო დაწესებულებებში თანამედროვე აპარატურაა, ინგლისურს პირველი კლასიდან სწავლობენ და თანაბარია მიდგომა ორივე

სქესის მიმართ, “გიულენის სკოლები” თურქეთშიც საუკეთესოდ მიიჩნევა. ჩაბუჯის შემთხვევაშიც პრობლემები სწორედ სკოლიდან დაიწყო.

რა მიიჩნია თურქეთის ხელისუფლებამ ტერორიზმად ?

არგუმენტი პირველი - გარიგებაში მონაწილეობა. 2017 წელი. გიულენთან დაკავშირებული ჩაღღარის საგანმანათლებლო ქსელი საქართველოში ერთ უნივერსიტეტსა და 7 სკოლა-ლიცეუმს ფლობს.

მათგან ორის, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და დემირელის სახელობის სკოლის დამფუძნებლები: ჯიჰან აქინი, იუსუფ ალთაში, აიჰან არსლანი და რესულ დიქმენი, სავარაუდოდ საფრთხეს გრძნობენ და წილების გასხვისება-გაჩუქების გადაწყვეტილებას იღებენ . ახალი მეპატრონე კომპანია „მეტროპოლიტენ ედუქეიშნ ქონსალთინგ სერვისი“ უნდა გახდეს, რომელსაც ზაფერ სუსლუ წარმოადგენს, ის შეერთებული შტატების მოქალაქეა. წილების გადაფორმებამდე რამდენიმე დღით ადრე, გავლენიან თურქულ გამოცემა „საბაჰში“, რომელსაც პრეზიდენტ ერდოღანის სიძე მართავს, სტატია ჩნდება. ტექსტში წერია, რომ გარიგება არ შედგება, რადგან ზაფერ სუსლუ იძებნება, „გიულენის ტერორისტული ქსელის“ წევრობისთვის და ამავე დროს, საქართველოს მხრიდან არის „დადებითი სიგნალები“ რომ გიულენის სკოლები „მარიფის ფონდს“ ანუ თურქეთის ხელისუფლებას გადაეცემა.

საბაჰის წინასწარმეტყველება ხდება, გარიგება საქართველოს საჯარო რეესტრში იბლოკება. 9 თებერვალს, საქართველოში აღარ უშვებენ ბიზნესმენ ჯიჰან აქინს, და ქვეყნის ტერიტორიას ატოვებინებენ ზაფერ სუსლუსაც.

საფეთ ბაირაქთუთანი- მუსტაფა ემრე ჩაბუჯის მეგობარი, დემირელის სკოლის ყოფილი წარმომადგენელი

ჯერ ერთი, მინდობილი პირია ბატონი მუსტაფა, ანუ გადაწყვეტილების მიმღები არიან წილის მეპატრონეები, რომლებიც ცხოვრობენ გერმანიაში და იქ მათ წინააღმდეგ არანაირი საქმე არ არის აღძრული. გერმანია ხომ მიხედავდა, ესენი რომელიმე ტერორისტული ორგანიზაციის წევრები რომ ყოფილიყვნენ. მეორე მხარეც არის საინტერესო, ვისზეც ასხვისებდნენ, ეს იყო ამერიკული საგანმანათლებლო კომპანია, რომელიც მოღვაწეობს ამერიკაში. ისინი რომ ყოფილიყვნენ ტერორისტული ორგანიზაციის წევრები ან მხარდამჭერები, მგონი, ამერიკა მიხედავდა მათ. აქ ერთი პატარა მუსტაფაა, რომელმაც მინდობილობით ხელი მოაწერა და შეიტანა იუსტიციის სახლში, რათა გაფორმდეს წილები ერთი პირიდან მეორე პირზე, რომელიც არც გაფორმდა.

პროცესში ბიზნესმენების მინდობილობით აღჭურვილი პირი მუსტაფა ემრე ჩაბუჯი იყო. თურქულმა მხარემ მას ამ ჩაშლილ გარიგებაში მონაწილეობა ტერორისტული დაჯგუფება ფეტოსთვის გაწეულ დახმარებად ჩაუთვალა. რა კავშირი ჰქონდა წილების არშემდგარ გადაფორმებას ტერორიზმთან, ამაზე საქართველოსთვის წარდგენილ მასალებში განმარტება არ ყოფილა. საინტერესოა ისიც, რომ თუ გარიგებაში მონაწილეობას დანაშაულად მივიჩნევთ, მაშინ კრიმინალი საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა, და ჩაბუჯის ბედიც ქართული იურისდიქციის ფარგლებში,

გაცილებით მსუბუქი მუხლით უნდა გადაწყვეტილიყო, თუმცა საქართველოს პროკურატურამ ასე არ ჩათვალა

სოსო ბარათაშვილი - მუსტაფა ემრე ჩაბუქის ადვოკატი

ქმედება, რომელიც ბრალად ედება ბატონ გიულენს, დაიწყო საქართველოში, განვითარდა საქართველოში, დასრულდა საქართველოში და ამავე დროს, არც ერთ იმ პირს, რომელსაც თითქოს უნდა მიეღო ეს თანხა, ან რომელსაც უნდა გაეხვისებინა წილი, მსგავსი ბრალდება წარდგენილი არ ჰქონდა. ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სწორედ იმას, თუ დანაშაული მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ქვეყნის მოქალაქე სჩადის ამას, ეს ყველაფერი უნდა განიხილებოდეს საქართველოს კანონმდებლობით

თურქეთის ხელისუფლების მეორე არგუმენტი ჩაბუქის წინააღმდეგ პროგრამა ბაილოკი იყო, აპლიკაცია, რომლის დახმარებითაც ის გამოძიების მტკიცებით, ტერორისტული ორგანიზაციის სხვა წევრებს უკავშირდებოდა. ბრალდება არ მყარდება მკტიცებულებებით. მასალებში არ ჩანს ზუსტად ვის ელაპარაკებოდა მასწავლებელი, იყო თუ არა აპლიკაციაში კონკრეტული მიმოწერა და თუ იყო, რა ტერორისტულ ქმედებებს გეგმავდა ის. შედეგად გამოდის, რომ ტერორიზმში მოაწილეობად საჯარო აპლიკაციის ჩამოწერა ჩაითვალა.

სოსო ბარათაშვილი - მუსტაფა ემრე ჩაბუქის ადვოკატი

ჯერ ერთი არ იყო ეს დასაბუთებული, ჰქონდა თუ არა მას ეს ბაილოკი. მერე არ იყო არანაირი ჩანაწერი ამ ბაილოკის სისტემაში. ასევე არსებობს დასკვნა, რომ ბაილოკის სისტემით სარგებლობა არის ადამიანის უფლებათა დევნისათვის გამოყენებული თურქეთში. დაახლოებით იმგვარი ბრალდება იყო, რომ თქვენ რომ ზოგადად სარგებლობთ მობილური ტელეფონით, ეს არის დანაშაული. იქ ვის დაურეკა, რა საუბარი იყო, მსგავსი არაფერი ეწერა იქ.

აპლიკაცია ბაილოკი, 2014-2016 წლებში გუგლ პლეი სთორსა და ეპლ სთორში საჯაროდ იყო ხელმისაწვდომი, ის მსოფლიოში 600 000 ჯერ გადმოწერეს, რაც სრულად აბათილებს ეჭვს, რომ მასზე წვდომა ექსკლუზიურად მხოლოდ გიულენის მიმდევრებს შეეძლოთ - ასე წერია დასკვნაში რომელიც 2017 წელს ბრიტანელმა ექსპერტებმა უილამ ქლეგმა, საიმონ ბეიკერმა და თომას მურმა გამოაქვეყნეს. ამ წლის მონაცემებით ბაილოკის გადმოტვირთვისთვის თურქეთში 75 000 ადამიანი სამართლებრივად იდევნებოდა.

სტატისტიკა საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის 314 მუხლზეც, რომლის მიხედვითაც თურქეთის ხელისუფლება ჩაბუქის გადაცემას ითხოვდა, ვენეციის კომისიის დასკვნით სწორედ ეს მუხლი ერდოღანის პრეზიდენტობისას მრავალჯერ გამოიყენეს მოქალაქეთა პოლიტიკური დევნისთვის და ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით ასამართლებენ პირებს, რომლებიც კანონიერად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. ეს მტკიცება ჩაბუქის საქმეზეც გაამყარა.

რატომ ჩაითვალა გარიგებაში მონაწილეობა ტერორიზმის დახმარებად, რატომ მიიჩნიეს ტელეფონში აპლიკაციის გადმოტვირთვა ტერორისტებთან კავშირად თუ იქ შესაბამისი მიმოწერა არ აღმოჩნდა, საექვო იყო თუ არა ექსტრადირების 314 ე მუხლით მოთხოვნა - ეს კითხვები საქართველოს პროკურატურას არ გასჩენია.

ნანიკო ზაზუნაშვილი - პროკურორი

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა როგორც მიმალვის საფრთხე, ასევე გამოძიებისთვის ხელის შეშლისა და დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხეები. რაც შეეხება კონკრეტულ მტკიცებულებებს, როგორც მოგეხსენებათ, საექსტრადიციო პროცედურების ფარგლებში კონკრეტული მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულება მომთხოვნ სახელმწიფოს არ გააჩნია. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმ მასალებით, რაც არის წარმოდგენილი თურქული მხარის მხრიდან.

სურათი გაცილებით ნათელი იყო საქართველოს მაშინდელი სახალხო დამცველისთვის, ომბუდსმენი საქმეში არსებულ შეუსაბამობებს ღიად აპროტესტებდა და გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ჩაბუქის წინასაექსტრადიციო პატიმრობა არა სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო

უჩა ნანუაშვილი - ყოფილი სახალხო დამცველი

როცა ხდება არა სამართლებრივად შესწავლა საქმის, რომელსაც რა თქმა უნდა გარკვეული დრო, პროცედურები სჭირდება. შესაბამისმა ორგანოებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება მას შემდეგ, რაც დასრულდება ეს პროცესი, ჩვენ დავინახეთ, რომ ეს საექვოდ დაემთხვა დროში თანამდებობის პირის ვიზიტს თურქეთიდან. ეს ყველაფერი კიდევ უფრო ამყარებდა ეჭვს, რომ შესაძლებელია რომ სწორედ პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო ჩაბუქის დაკავება და ეს არ იყო სამართლებრივი გადაწყვეტილება რაიმე კონკრეტულ დანაშაულზე, ან რაიმე კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით.

მუსტაფა ემრე ჩაბუქი - მასწავლებელი, ყოფილი საექსტრადიციო პატიმარი

გადატრიალების მცდელობა ტელევიზიიდან გავიგე. მე არ მჯერა, რომ ეს გიულენის მხრიდან არის დაგეგმილი. ევროპის ქვეყნების ლიდერები ამბობენ, რომ გიულენი ამის უკან არ დგას. მე გიულენის იდეოლოგია მომწონს, თუმცა ვკითხულობ და ვეცნობი ასევე ჰიტლერის იდეოლოგიასაც, ისევე როგორც კომუნისტურს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამ რეჟიმების ქმედებებზე ვაგებ პასუხს.

მასწავლებელს, რომლის საწინააღმდეგო არგუმენტი მხოლოდ მისი იდეოლოგია იყო, თურქეთის ციხისგან თავის დასაღწევად ერთი და ყველაზე რეალური გზა ჰქონდა - ლტოლვილის სტატუსის მიღება. ეს სტატუსი ავტომატურად აჩერებს ექსტრადიციის პროცესს. ამ შემთხვევაში სახელმწიფო თავს ვედარ იმართლებს იმით, რომ მხოლოდ თურქეთის მოწოდებულ მასალებს ეყრდნობა. მას აქვს ვალდებულება თავად მოიძიოს დოკუმენტები და გაარკვიოს, თავშესაფარზე უარს ხომ არ ეუბნება ადამიანს,



რომელსაც საკუთარ ქვეყანაში საფრთხე, ციხეში კი წამება ემუქრება. პროცესი, რომელიც მთავარი საქმის პარალელურად წარიმართა საქართველოს ხელისუფლებისთვის მორიგი მძიმე ტესტი აღმოჩნდა.

უარი ლტოლვილის სტატუსზე

სოსო ბარათაშვილი - მუსტაფა ემრე ჩაბუქის ადვოკატი

აქ ინახება ბატონი ჩაბუქის ტომები. დაახლოებით 15 ტომი იყო, როგორც მახსოვს.

-15 ტომიდან თქვენი ნამუშევარი რამდენია?

-ჩვენი ნამუშევარი იქნებოდა დაახლოებით 12 ტომი.

ჩაბუქის სქელტანიანი საქმის ყველაზე დიდი ნაწილი თურქეთის ციხეებში არსებულ ადამიანის უფლებათა მძიმე მდგომარეობას ეხება. სოსო ბარათაშვილმა შეაგროვა ფაქტები, გაეროს სპეციალური მომხსენებლების ანგარიშებიდან, ავტორიტეტული ორგანიზაციების ამნესტი ინტერნეიშენალის, ჰუმანს რაით ვოჩისა და ესსიეფის დაკვნიებიდან. - შეფასებები უმძიმესი და მსგავსი იყო - მრავალგვერდიანი დოკუმენტები სავსეა, პატიმართა წამების, მათი სასტიკად ცემის, სექსუალური ძალადობის, გაუპატიურების მუქარის, ციხეში გიულენისტების ბუნდოვანი და საეჭვო თვითმკვლელობების შემთხვევებით. საფრთხე, რომელიც ამ დასკვნების ფურცლებიდან აშკარად ჩანდა, ვერ ან არ დაინახეს საქართველოს ხელისუფლებაში - ჩაბუქს უთხრეს, რომ თურქეთში ევროპული სტანდარტის ციხეებია, და ნეგატიური ფაქტები ადვოკატებმა შერჩევით ამოკრიფეს

ლევან ბარდაველიძე- სასამართლო წარმომადგენლობის სამმართველოს უფროსი

ის აქტი, რომლითაც ჩვენ უარი ვუთხარით ჩვენ ბატონ ჩაბუქს თავშესაფრის მიღებაზე, დასაბუთებულია, კანონიერია, საკმაოდ წონადი არგუმენტები გვაქვს მოშველიებული, მოძიებული იქნა მთელი რიგი ინფორმაცია თურქეთის ქვეყანასთან დაკავშირებით. ჩვენ ვთლით, რომ ის თავისი წარმოშობის ქვეყანაში არ დაექვემდებარება წამებას და არაადამიანურ მოპყრობას.

სოზარ სუბარი - დევნილთა და განსახლების ყოფილი მინისტრი

რაც შეეხება ევროკავშირის და არა მხოლოდ ევროკავშირის, არამედ ძალიან ბევრი საერთაშრისო ორგანიზაციის დასკვნას თურქეთში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. ჩვენ თუ ახლა ცალმხრივად ამოვკრეფთ იმას, რაც ცუდი ხდება, ასე შეგვიძლია, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანაზე ვთქვათ იგივე. 2016 წლის ბოლოდან იქ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. არსებობდა საკმაოდ სერიოზული კითხვები ციხეებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

როგორც აღმოჩნდა, ანგარიშები ცალმხრივად საქართველოს ხელისუფლებამ წაიკითხა. მაგალითად ერთი დოკუმენტი, გაეროს სპეციალური წარმომადგენლის მოხსენება, სამინისტრომ იმის დასამტკიცებლად გამოიყენა, რომ ჩაბუქს ციხეში არაფერი ემუქრება, მაშინ როცა იგივე ტექსტზე

დაყრდნობით საპირისპიროს ამტკიცებდა ამნესტი ინთერნეიშენალი. ორგანიზაციის ევროპისა და აზიის რეგიონული ფილიალის დირექტორი ჯონ დალჰუსეინი, ბევრ არგუმენტთან ერთად მოხსენებაზე დაყრდნობითაც წერდა, რომ ჩაბუქის თურქეთში ექსტრადირება დაუშვებელია. როგორც ჩანს სამინისტროში დოკუმენტის სასურველი აბზაცები წაიკითხეს და თვალი დახუჭეს სხვა დანარჩენზე.

სოსო ბარათაშვილი - მუსტაფა ემრე ჩაბუქის ადვოკატი

ეს იყო სრულიად სამარცხვინო პროცესი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. ვხედავდი ადამიანებს, რომლებზეც არაფერი ჭრის, იყო კედელი. ეს ადამიანები შემოდის, შევადარო გულქვა ხალხს, რომელსაც სამართალი საერთოდ არ აინტერესებს. ისინი ხედავდნენ, როგორ შეიძლება, უდანაშაულო ადამიანი გადაეცათ სახელმწიფოსთვის, სადაც მას ელოდა წამება და არაადამიანური მოპყრობა და მაინც აწერდნენ ხელს იმაზე, რომ ეს ადამიანი უნდა ყოფილიყო გადაცემული. ფაქტობრივად გამოტოვეს თავიანთ გადაწყვეტილებებში ჩვენი არგუმენტაცია. დაახლოებით ათ გვერდზე იყო მარტო დასათაურებები ჩამოწერილი და 600 გვერდზე მეტი იყო ის არგუმენტები, რომლებიც ჩვენ წარვუდგინეთ დევნილთა სამინისტროს, შემდეგ სასამართლოს. მათ თქვეს უბრალოდ ის, რომ თითქოს თურქეთში გამოსწორდა სიტუაცია, არაფერი არ ემუქრება ამ ადამიანს. ამის დასაბუთებლად მოჰყავდათ დასკვნები, სადაც შავი თეთრზე ეწერა, რომ თურქეთში მასიურად ირღვევა ადამიანის უფლებები. ისინი იმასაც არ ცდილობდნენ, რომ რაღაც მოემიებინათ თავიანთი პოზიციის გასამყარებლად.

უჩა ნანუაშვილი - ყოფილი სახალხო დამცველი

არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას ბოლო წლების განმავლობაში არ გამოუქვეყნებია დასკვნა, სადაც გამოირიცხება მსგავსი პირობები თურქეთის ციხეში. პირიქით, ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია და მე მხედველობაში მაქვს ავტორიტეტული ორგანიზაციები, მათი დასკვნები მიუთითებს, რომ თურქეთში იყო ძალიან მძიმე მდგომარეობა ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით, მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა ბოლო წლების განმავლობაში, როდესაც ხდებოდა ათასობით ადამიანის დაკავება ყოველგვარი სამართლებრივი ინსტრუმენტების გარეშე, საუბარი იყო იმ პროცედურულ დარღვევებზე, არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, ციხეებში არსებულ გაუსამძის პირობებზე, გადატვირთულობის პრობლემაზე, რომელიც ასევე ამ პროცესებიდან გამომდინარე შეიქმნა თურქეთის სასჯერლალსრულების დაწესებულებებში. ეს ყველაფერი სამწუხაროდ არ იყო გათვალისწინებული. სამინისტრო როგორც ჩანს ეძებდა რაიმე დასაბუთებას იმისას, რომ გადაწყვეტილება რომელიც მანამდე იყო ფაქტობრივად მიღებული უარის მიღებაზე, ყოფილიყო რამენაირად დასაბუთებული. ისინი ეძებდნენ ნებისმიერ დოკუმენტს, ნებისმიერ ფრაზას ამ დოკუმენტში, ნებისმიერი დოკუმენტში შეგიმძია, იპოვო კონკრეტული წინადადება, რომლითაც შესაძლებელია, გაამყარო ესა თუ ის დასკვნა, მაგრამ მნიშვნელოვანია მთლიანი დასკვნის, მთლიანი ანგარიშის გათვალისწინება ასეთი გადაწყვეტილების მიღების დროს.

საფრთხე, რომელიც სამინისტროსთვის უხილავი იყო თურქეთში, სრულიად რეალური აღმოჩნდა საქართველოში. საბაჰის მორიგ სტატიას თუბა ჩაბუქზე, მის მიმართ ღია მუქარა მოჰყვა ტვიტერის გვერდზე, სადაც წერილი დაიდო.

@Halidd54

საქართველო FETO-ს წარმომადგენლების გასაქცევი ადგილია. იქ მკვლელების ჯგუფი უნდა გაიგზავნოს და ისინი უნდა დაიხვრიტონ.

@xocali\_genocide (Hasektoroloji)

ძაღლის შვილი FETO და მისი მომხრეები უნდა ჩამოახრჩონ.. სამშობლოს მოღალატეების ადგილი საფლავია.

@hidzen (baybars)

ასეთი უუნარობაც წარმოუდგენელია. ასე ახლოს მყოფი წყეული FETO-ს წარმომადგენლები გვემუქრებიან. თურქეთი რატომ არ აგზავნის ერთ ჯგუფს და ამ მოღალატეებს არ აკვლევინებს.

@yavaserkan (e.y)

ჩვენც აქ, მათ საგვარეულოს და სანათესავოს დავემუქრებით და ჩამოვახრჩობთ კიდევ, ამაზე ნუ ინერვიულებენ.

მკვლელების ჯგუფებით ამ ნაბიჭვრების განადგურება სავალდებულო გახდა.

ჩაბუქის ცოლსა და შვილებს სახელმწიფო დაცვა დაუნიშნეს. ხელისუფლება იძულებული გახდა ელიარებინა საშიშროება, რომელსაც ვერ ხედავდა მასწავლებლისთვის თავშესაფარზე უარის თქმის დროს. კონტრასტი ასეთია - სახელმწიფომ დანიშნა დაცვა თურქეთიდან მომავალი საფრთხის გამო, მაშინ როცა არ გასცა ლტოლვილის სტატუსი, ამ საფრთხის არარსებობის გამო. პროცესებიდან ორი წლის შემდეგ ყოფილ მინისტრ სოზარ სუბარს, ამ თემაზე საუბარი აღარ სურს. დეტალებს იხსენებს მხოლოდ ერთი მხარე, ჩაბუქის მეგობრები, რომლებმაც ხმა ევროპარლამენტს მიაწვდინეს

მაიკო ჩიტაშვილი - მუსტაფა ემრე ჩაბუქის მეგობარი

მახსოვს, როდესაც ფაქტებს თარგმნიდნენ, თუ რა ხდებოდა მაშინ თურქეთის ციხეებში, როგორ გახდა ცუდად ერთ-ერთი თარჯიმანი, ვერ შეძლო. მეორე თარჯიმანმა უბალოდ ტირილი დაიწყო. თქვენ რომ იცოდეთ რა პირობებში უწევდათ თარჯიმენს და რა მასალა იქ ჩადებული, მე არ ვიცი როგორ შეეძლო უარი ეთქვა, ან თუ წაიკითხა, თუ გაეცნო, ნახა ის ყველაფერი და თქვა, რომ, არა, თურქეთის ციხეებში ყველაფერი კარგადაა. არ დამავიწყდება ქალბატონი ანა გომეშის სახე, სრულიად შოკირებული იყო და ამბობდა, არა ეს შეუძლებელია, ეს არ მოხდებოდა. მახსოვს, როგორ ჩაწერეთ ქართულად ქალბატონი ანა გომეში, ასე კუსტარულად, ჩემი მობილური - არ გადასცე. ჩვენი კამპანია და აქტივობა იყო არ გადასცე.

გზავნილი ქართულად და ინგლისურად საქართველოს ხელისუფლებისთვის. ევროპარლამენტარი ანა გომეში ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ჩაბუქის დაცვის საქმეში ბრიუსელიდან ჩაერთო. ევროკავშირის

დაინტერესება ერთი მასწავლებლის ბედით უკვე აშკარა იყო, როცა სასამართლო პროცესებზე, გომემის კოლეგები, რებეკა ჰარმსი და კლერ მუდი გამოჩნდნენ. დღეს გომეში ამბობს, რომ საქართველოს მთავრობა ორი წლის წინ დიდი ზეწოლის სამიზნე აღმოჩნდა და ამის დანახვა რთული არ იყო .

ანა გომეში: ჩვენ ვიცით, რომ თურქეთის მეზობლებს, განსაკუთრებით საქართველოს, უწევთ მძიმე ვითარებაში ყოფნა, თქვენი ქვეყანა აღმოჩნდა ზეწოლის სამიზნე. ჩვენ ვიცით აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის მაგალითი, სადაც ვფიქრობ ადგილი ჰქონდა სავარაუდო თანამშრომლობას. ეს ფაქტი ძალიან რთულად გასაგებია საქართველოს ხელისუფლებასთან გარკვეული კავშირების გარეშე. ჩვენ ვშიშობდით, რომ ასევე მოხდებოდა და გვინდოდა, შეგვეთავაზებინა საქართველოს ხელისუფლებისთვის გარკვეული ძალა, რომ შეწინააღმდეგებოდა ექსტრადიციას. სწორედ ეს იყო ჩემი განცხადების მიზანი.

ჟურნალისტი: თქვენ აქტიურად იყავით ჩართული მთელ პროცესში, საინტერესოა, ვის არ ენდობოდით, საქართველოს თუ თურქეთის ხელისუფლებას?

ანა გომეში: თურქეთის ხელისუფლება უხეშად არღვევს მისი მოქალაქეების უფლებებს თურქეთშიც და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. სწორედ ამიტომ ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი გზავნილი საქართველოს მოსახლეობისა და ხელისუფლების მისამართით, რომ მათგან ველოდით ადამიანის უფლებების ღირებულებებით ხელმძღვანელობას და არა ერდოღანის ზეწოლის შედეგად დანებებას. რეგულარულად გვქონდა კონტაქტი საქართველოს პარლამენტთან, ვხვდებოდით საგარეო საქმეთა მინისტრს, პრემიერ-მინისტრს. ვამბობდით, რომ მხარს დავუჭერდით საქართველოს, თუ წინააღმდეგობას გაუწევდა თურქეთის ზეწოლას. გვესმის, რომ ეს ძალიან რთულია, მაგრამ რუსეთს რომ მოეთხოვა ვინმეს ექსტრადირება, დარწმუნებული ვარ, საქართველო მას არავის გადასცემდა.

ჟურნალისტი: მაგრამ თქვენ გესმით განსხვავება ოკუპანტსა და სტრატეგიულ პარტნიორს შორის...

ანა გომეში: მაგრამ ეს არის პარტნიორი, რომელიც უნდა გესმოდეთ, რომ ვერ იქნება თქვენი პარტნიორი, როდესაც საქმე ეხება ადამიანის უფლებებს.

სასამართლო პროცესზე ევროპარლამენტარებისა და ამერიკელი კონგრესმენების დასწრებამ ნათლად გამოაჩინა ერთ საქმეზე ორი სტრატეგიული პარტნიორის თურქეთისა და დასავლეთის ინტერესები და მათ შორის სხვაობა.

რებეკა ჰარმსი - ევროპარლამენტარი

ჩემი რწმენით არ უნდა იდევნებოდეს და არ უნდა გასამართლდეს ადამიანი მხოლოდ იმის გამო, რომ ის ფეტიჰულა გიულენის სკოლაში ასწავლის. თურქეთში განვითარებულ მოვლენებს განსაკუთრებით ვაკვირდები, რადგან იქ არიან ჩემი კოლეგები, რომლებიც ამ მოვლენების ზეგავლენას განიცდიან. სულაც არ არის კრიმინალი, იყო ჟურნალისტი, არც ისა კრიმინალი რომ

არჩეული ოპოზიციონერი პარლამენტარი იყო თურქეთის პარლამენტში და თავისთავად ისიც არაა პრობლემა, რომ ასწავლიდე საქართველოში.

საერთაშორისო ზეწოლით თუ საქართველოს ხელისუფლების კეთილი ნებით ქვეყანამ ბევრის ხიდზე გაიარა. ჩაბუქი წინასაექსტრადიციო პატიმრობის ვადის ამოწურვამდე რამდენიმე დღით ადრე დროებით, გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. მასწავლებელი არ მოერიდა თქმას, რომ რეგიონის ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანაში ის პოლიტპატიმარი იყო მუსტაფა ემრე ჩაბუქი - მასწავლებელი, ყოფილი საექსტრადიციო პატიმარი

“მე ვარ მასწავლებელი და განათლებაზე ვარ შეყვარებული. 15 წელია საქართველოში ვმოდვაწეობ იმ პრინციპით, რომ ბავშვებს სიყვარული, მშვიდობა და მეგობრობა ჩაუნერგონ. ტერორიზმისა და დაპირისპირების წინააღმდეგი ვარ. ჩვენი პროექტები და მუშაობა ყოველთვის დადებითად ფასდებოდა. მთავრობის წევრებისგან, განათლების სამინისტროსგან დადებითად ფასდებოდა ჩემი საქმიანობა. ლეგალურად თუ არალეგალურად, რომელიმე ტერორისტული დაჯგუფების წევრი ან მომხრე ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ვიქნები”, თამამად შემიძლია გითხრათ, რომ პოლიტიკური პატიმარი ვიყავი”

სოსო ბარათაშვილი - მუსტაფა ემრე ჩაბუქის ადვოკატი

მოსამართლემ 1000-ლარიანი გირაოთი გაათავისუფლა ბატონი ჩაბუქი, რაც ნიშნავდა იმას, რომ ეს იყო წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებული ვინაიდან, 1000 ლარიანი გირაოთი ტერორიზმში ბრალდებულ პირს არასოდეს არავინ არ ათავისუფლებს.

ციხიდან გამოსვლისთანავე ჩაბუქი სახელმწიფო დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩაერთო. სად არის ის დღეს და ისევ სარგებლობს თუ არა ამ სერვისით - ამ კითხვით ჩვენ საქართველოს პროკურატურას მივმართეთ. პასუხად მივიღეთ რომ ეს პერონალური და შესაბამისად საიდუმლო ინფორმაციაა. როგორც ჩანს მასწავლებლისთვის ციხეში გატარებული 9 თვე მისთვის მხოლოდ ცუდი მოგონებაა. თუმცა ის რაც ჩაბუქისთვის უსიამოვნო წარსულია, შესაძლოა საშიში აწმყო იყოს სხვებისთვის. რა პირობებს უქმნის ქვეყანა საქართველოში მცხოვრებ გიულენისტებს, რა შანსი აქვთ მათ, თუ ლტოლვილის სტატუსს, ან თავშესაფარს მოითხოვენ. დაიცავს თუ არა ხელისუფლება თურქეთიდან დამოქცეულებს სტრატეგიული პარტნიორისგან - ამ კითხვებზე პასუხის მიღებას საქართველოში თავშესაფრის მომლოდინე თურქებისგან შევეცადეთ

გიულენისტები საქართველოში

რასაც ახლა განვიცდი, ჩემთვის ჩემს საუკეთესო მეგობარს რომ მოეყოლა, ვერაფრით დავიჯერებდი. თქვენ ჟურნალისტი ხართ, ტერორისტებს ხშირად ხედავთ, აშუქებთ და წარმოიდგინეთ, რომ მეც ტერორისტს მეძახიან.

მამაკაცი, რომელმაც საუბარი ანონიმურად ისურვა, გიულენის მხარდამჭერია. მუსტაფა ემრე ჩაბუქთან მას მხოლოდ 314 ე მუხლი აერთიანებს, თურქეთში მასაც ტერორიზმში მონაწილეობის ბრალდებით ეძებენ. მედიასთან საუბარი მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც სკანდალური

დოკუმენტი ჩაუვარდა ხელთ. გვიყვება, რომ მისმა მეგობარმა თავშესაფრის მიღება გერმანიაში სცადა. ადვოკატმა თურქეთის პროკურატურიდან გამოითხოვა ინფორმაცია, იყო თუ არა მასალები მისი დაცვის ქვეშ მყოფის წინააღმდეგ. საქმეში კი აღმოჩნდა დოკუმენტი, სადაც საქართველოში მცხოვრები გიულენისტების სიაა. ჩვენმა რესპოდენტმა ამ სიაში საკუთარი გვარი და მისი მეგობრების მონაცემები აღმოაჩინა.

მე საქართველოს თავშესაფარი ვთხოვე. როდესაც განაცხადი შევიტანე და გავიარე ინტერვიუ, მე მითხრეს, რომ ეს ინტერვიუ და ჩემთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია იქნებოდა კონფიდენციალური, გამაფრთხილეს რომ ჩემს ადვოკატსაც კი არ უნდა სცოდნოდა ამ გასაუბრების შესახებ. თუმცა გაკრვეული დროის შემდეგ მე ვხედავ სიას, სადაც ჩემი სახელი და გვარია, ვნახულობ ჩემი ახლობლებისა და მეგობრების გვარებს, მეშინია, რადგან სწორედ ამ ინტერვიუს შემდგომ ჩემთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია აღმოჩნდა თურქეთის ხელში. გამიჩნდა შიში საქართველო არ არის უსაფრთხო ქვეყანა ჩემთვის, რადგან არის დიდი ალბათობა იმისა, რომ ეს სია თურქულ მხარეს სწორედ საქართველომ მიაწოდა.

დოკუმენტის თურქულ დედანს, თან დამოწმებული თარგმანი ახლავს. შეტყობინება, რომელსაც თურქეთის ტერორიზმთან ბრძოლის ფილიალი აგზავნის სამსუნის მთავარ პროკურატურაში მიდის. პირები რომლებიც საქართველოს აფარებენ თავს - ასეთია მიმართვის საგანი. ტექსტში ვკითხულობთ, რომ სიაში ჩამოთვლილი ადამიანები ტერორისტულ ორგანიზაციაში საქმიანობას აგრძელებენ. იგივე სიაზეა საუბარი მეორე საიდუმლო დოკუმენტშიც, საიდანაც ირკვევა, რომ ინფორმაცია მიღებულია ფეტჰულისტთა ტერორისტული ორგანიზაციის გაშიფვრისთვის წარმოებული სამუშაოების ფარგლებში, საქართველოში მყოფი დაზვერვის თანამშრომლისგან. დოკუმენტს თან ახლავს 52 კაციანი სია პირადი მონაცემებით. ყველა გვარის გასწვრივ მითითებულია, ვინ არის რეგისტრირებული თბილისის საელჩოს ბაზაში და ვინ აგრძელებს ბათუმში საქმიანობას.

თავშესაფრის მოთხოვნისას სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ვალდებულება პირის კონფიდენციალობის დაცვაა. საიდან აღმოჩნდა ეს ინფორმაცია თურქეთის ხელისუფლების ხელში, თურქული დაზვერვის ძალისხმევით თუ საქართველოს ხელისუფლების ხელშეწყობით, ამის მტკიცება რთულია. ფაქტი ისაა, რომ მონაცემები არსებობს იქ, სადაც არ უნდა იყოს. ეს კი ან ქართული სპეცსამსახურების არაპროფესიონალიზმს ნიშნავს, ან უკანონო თანამშრომლობას. მამაკაცი გვეუბნება, რომ თურქეთის ხელისუფლების სამიზნე არა ერთი მასწავლებელი, არამედ ყველა გიულენისტია. ჩვენი რესპოდენტი საქართველოსგან თავშესაფარს უკვე ერთი წელია უშედეგოდ ელის, რაც მის ეჭვებს და შიშს მხოლოდ აძლიერებს.

შიშის ფაქტორია, ღამითაც კი ამაზე ფიქრს თავს ვერ აღწევ. ამ სიაში მყოფი ყველა ადამიანი საქართველოშია. მე პასპორტი საერთოდ არ მაქვს, ასე რომ იყოს, აუცილებლად დავტოვებდი საქართველოს. ყველა ის ადამიანი, რომელმაც თავშესაფრის მისაღებად შეიტანა განცხადება, პასპორტს აბარებს და ველარ მიდის ქვეყნიდან. თუ ბავშვი გაგიჩნდა, გინდა შესაბამისი

დოკუმენტის აღება, ან პასპორტის განახლება, თურქული უწყებები საქართველოში ამ მომსახურებას არ გიწვევენ. ამიტომ ვითხოვდით თავშესაფარს საქართველოში. წარმოიდგინეთ, მე რომ დღეს თურქეთში წავიდე, ვინმემ მომკლას, ამის კადრები გადაიღონ და გავრცელდეს, იქ აღიქმება ეს გმირობად, მკვლელს შერაცხავენ გმირად, რადგან მან ერთ-ერთი გიულენისტი მოკლა. ალბათ, გიჭირთ ამის დაჯერება, მაგრამ სამწუხაროდ, ეს სიმართლეა.

სკოლები „ტერორისტებისთვის“

ჩაბუქის საქმე დიდი სურათის ერთი დეტალია. პროცესმა, რომელიც 2017 წლის თებერვლიდან დაიწყო აჩვენა რამდენად დიდია თურქეთის გავლენა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაზე და რა პრობლემები ექმნებოდათ ჩაღვარის ქსელში შემავალ სასწავლო დაწესებულებებს ორი წლის განმავლობაში. ამ კავშირების საჩვენებლად მხოლოდ ქრონოლოგიაც საკმარისია .

2016 წლის 18 ივლისი - თურქეთის გენერალური კონსული იასინ თემისქანი „ტელეარხ 25 თან“ ინტერვიუში ამბობს, რომ შაჰინის სახელობის სკოლა ლიცეუმში ტერორისტები იზრდებიან და ის უნდა დაიხუროს. განცხადება მედიის არასწორ ინტერპრეტაციას ბრალდება

2017 წლის თებერვალი. რამდენიმე თვეში შაჰინის სახელობის სკოლა ლიცეუმში არაგემიური შემოწმება იწყება, რაც მისი დახურვით სრულდება.

2017 წლის 23 მაისს საქართველოში პრემიერ-მინისტრი ბინალი ილდირიმი ჩამოდის

ერთ დღეში, ( 2017 წლის 24 მაისი) აკავებენ დემირელის კოლეჯის მენეჯერს მუსტაფა ემრე ჩაბუქს

2017 წლის 30 აგვისტოს, ჩაბუქის სასამართლო პროცესებიდან სამ თვეში იხურება დემირელის კოლეჯიც. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებით ერთ-ერთმა საუკეთესო სკოლამ ავტორიზაცია ვერ გაიარა

2018 წლის 16 აგვისტო - თურქეთის ელჩი საქართველოში ფატმა ჯერენ იაზგანი ანადოლუსთან ინტერვიუში ამბობს, რომ თურქეთი ბოლომდე კმაყოფილი არ არის, გიულენისტებთან ბრძოლით საქართველოში, რადგან ტერორისტულ ორგანიზაციას აქ უნივერსიტეტი აქვს.

ინტერვიუდან 4 დღეში ( 2018 წლის 20 აგვისტო), ჩაღვარის ქსელის ნაწილს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს პრობლემები ექმნება. ავტორიზაციის საბჭო მას ერთი წლით უზღუდავს ახალი სტუდენტების მიღებას.

სახელმწიფოს უარყოფის მიუხედავად ამ საგანმანათლებლო უწყებების ხელმძღვანელები მომხდარს პოლიტიკურ მოტივს უკავშირებდნენ.

საქართველო არ არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც თურქეთის ხელისუფლება გიულენთან დაკავშირებული საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვას ითხოვს.

	<p>2016 წელს პაკისტანიდან გააძევეს „პაკ-ტურკ“ სკოლების 450 მასწავლებელი. ერდოლანის მოთხოვნით გიულენის ორი სკოლა და ერთი ჰოსპიტალი დაიხურა ომგამოვლილ სომალიში. სკოლები თურქეთის მთავრობას გადასცეს ეთიოპიაში, პრეზიდენტის მსგავსი თხოვნა არ გაითვალისწინა ინდონეზიამ “ფასიადის ფონდის” მართვაში არსებული 9 სკოლა, დახურვას გადაურჩა. თურქეთი უარით გაისტუმრა ყაზახეთმაც. ნურსულთან ნაზარბაევმა საჯაროდ თქვა, რომ საექვო 17 სკოლას ტერორიზმთან კავშირი არ აქვს. მოთხოვნას უარით უპასუხეს ყირგიზეთშიც. რაც შეეხება აზერბაიჯანს. თურქეთში ტერორისტულ ორგანიზაციად მიჩნეული კავკასიის უნივერსიტეტი ბაქოში არ დახურულა, თუმცა მმართველები შეიცვალნენ და მენეჯმენტი სოკარმა გადაიბარა.</p> <p>საქართველოს ანგარიშზე ჯერჯერობით ორი დახურული სკოლა და ერთი მასწავლებელია, რომლის საქმისთვისაც სამართლებრივი წერტილი ჯერ არ დაუსვამთ. ორ წლიანი ლოდინის შემდეგ სასამართლოში ვერავინ გვეუბნება როდის დაინიშნება ჩაბუქის საბოლოო, საექსტრადიციო პროცესი. როგორც ჩანს მასწავლებლის მიმართ გაქრა პოლიტიკური და შესაბამისად სამართლებრივი ინტერესიც.</p> <p>მუსტაფა ემრე ჩაბუქი - მასწავლებელი, ყოფილი საექსტრადიციო პატიმარი ყველას დიდ მადლობას გიხდით, დილა საღამოს თქვენთან ვიყავი და სიზმარშიც კი გხედავდით, მომენატრა თქვენი ხმაური. ყველაზე შემაწუხებელი ჩემთვის ის იყო რომ მოსწავლეების დანახვა აღარ შემეძლო როგორც მასწავლებელს.</p> <p>9 თვიანი პატიმრობიდან ორი წლის შემდეგ ჩაბუქი დარჩა ფსევდო-კრიმინალად ჯიბეში დანის ნაცვლად ცარცით, და ფსევდო ტერორისტად, რომელსაც მთავარი მოკავშირეები, მოსწავლეები ვერც გისოსებს მიღმა წაართვეს.</p>
<p><b>CAMERA OPERATOR:</b></p>	<p>Giorgi Kakhadze, Valeri Gorelishvili</p>
<p><b>VIDEO EDITOR:</b></p>	<p>Shalva Pirtskhalava</p>
<p><b>MUSIC RIGHTS:</b> (If applicable)</p>	<p>Audiojungle</p>